28/07/2023

# გრძელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი შემეცნებითი საღამოები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელშეწყობითა და შემოქმედებითი სტუდიის, “5+2” ორგანიზებით იმართება.



გრძელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი შემეცნებითი საღამოები, რომლებიც საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელშეწყობითა და შემოქმედებითი სტუდიის, “5+2″ ორგანიზებით იმართება.
მორიგ შეხვედრაზე, რომელიც 2023 წლის 24 ივლისს კოჯორში, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიასთან არსებულ „ჯარის ბანაკში” გაიმართა,

წარმოდგენილი იყო ილია ჭავჭავაძის “განდეგილის” მიხედვით, რეჟისორ თემო კუპრავას მიერ დადგმული სპექტაკლი “ილია და თეატრი”, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები: ნოდარ მელაძე, სანდრო ლელუაშვილი, ანანო იაშვილი და ნინა შონია.

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური